

დადგენილება №10/2020 ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში შესაძლო გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით და სადეზინფექციო სამუშაოების მასშტაბური ჩატარების მიზნით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესი შეჩერების შესახებ

დადგენილება №10/2020

01 მარტი, 2020

დადგენილება №10/2020 ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში შესაძლო გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით და სადეზინფექციო სამუშაოების მასშტაბური ჩატარების მიზნით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესი შეჩერების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 01 მარტის N05 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში შესაძლო გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით და სადეზინფექციო სამუშაოების მასშტაბური ჩატარების მიზნით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში შეჩერდეს სასწავლო პროცესი 02 მარტიდან 07 მარტის ჩათვლით.
2. სასწავლო პროცესი ორი კვირით გადავადდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარია-თერთმეტწლედში.

3. კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის შეჩერება არ იწვევს ადმინისტრაციის მუშაობის შეჩერებას.

4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

6. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე